Ш.პ.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტორი“

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება
(დანართი - თავსართი და სესხის გადახდის გრაფიკი)

თბილისი თარიღი: XX.XX. XXXXწ

1.ხელშეკრულების მხარეები

1.1 კომპანია - დასახელება: შპს მისო „კრედიტორი“(404910637)
იურიდიული მისამართი:ქ. თბილისის, მიცკევიჩის ქ, № 6
წარმომადგენელი დირექტორი:

1.2 კლიენტი - სახელი და გვარი:მარიკა ლიპარტია
რეგისტრაციის მისამართი:
ფაქტიური მისამართი: 1
პირადი #:
პირადობის მოწმობა:
პასპორტის/პირადობის მოწმობის გაცემის თარიღი.
პასპორტის/პირადობის მოწმობის გამცემი: სხვა
მოქმედების ვადა: .
ტელეფონი:0
მობილური ტელეფონი:

„კომპანია“ და „კლიენტი“ ვმოქმედებთ რა საკუთარი წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 წინამდებარე შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება დადებულია ამავე მხარეთა შორის XX.XX.XXXXწ დადებული N330g საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, საკრედიტო ხაზით მომსახურების მიზნით და შესაბამისად მისი განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია. ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება NXX საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების ყველა პირობა, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით სხვაგვარად არ რეგულირდება შესაბამისი საკითხი.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით კომპანია გასცემს საკრედიტო ხაზის ლიმიტის ფარგლებში სასყიდლიან კრედიტს, ხოლო კლიენტი კისრულობს ვალდებულებას კრედიტი დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკის მიხედვით, რაც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და მოქმედებს მასთან ერთად.
3.2 კრედიტის პირობები:

3.2.1 კრედიტის მთლიანი თანხა, ვალუტა:	ლარი
3.2.2 კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის ოდენობა:	ლარი
3.2.3 კრედიტის ვადა:	თვე
3.2.4 თვიური საპროცენტო სარგებელი:	%
3.2.5 წლიური საპროცენტო განაკვეთი:	%
3.2.6 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	%
3.2.7 ყოველვიური შენატანის ოდენობა:	
3.2.8 კრედიტის ადმინისტრაციული გადასახდელი (საკომისიო):	%
3.2.9 ადმინისტრაციულ ორგანოში (საჯარო რეესტრი/მომსახურების სააგენტო) გადასახდელი:	X ლარი
3.2.10 კრედიტინფოს მომსახურების საფასური:	X ლარი
3.2.11 ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი:	X ლარი
3.2.12 კრედიტის უზრუნველყოფა:	საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების XX პუნქტში მითითებული ხელშეკრულება(ები).
3.2.13 პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისას:	ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარჩენილი ძირითადი თანხის 0.2%.
3.2.14 პირგასამტეხლო კრედიტის ნაწილობრივ ან სრულად წინსწრებით დაფარვისას:	ა) სესხის დაფარვამდე 6-დან 12 თვემდე ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%

ბ) სესხის დაფარვამდე 12-დან 24 თვემდე ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 1%
გ) სესხის დაფარვამდე 24 თვეზე მეტი ვადის არსებობის შემთხვევაში - სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის2 %

4. სხვა პირობები

4.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას გათვალისწინებული ფინანსური ხარჯები:
4.1.1 კრედიტის საპროცენტო სარგებელი;
4.1.2 კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (საკომისიო);
4.1.3 ადმინისტრაციულ ორგანოში (საჯარო რეესტრი/მომსახურების სააგენტო, ნოტარიუსი) გასაწევი ხარჯი;თანხის ოდენობა განისაზღვრება სტანდარტული ოდენობით, დაჩქარებული წარმოების დამატებითი საფასურის გარეშე.
4.1.3 კრედიტინფოს მომსახურების საფასური.
4.1.4 ქონების ღირებულების შეფასების ხარჯი.
4.2 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას არსებული დაშვებები:
4.2.1 დაიშვება, რომ კრედიტის მთლიან თანხას მსესხებელი იღებს ერთჯერადად, სრულად;
4.2.2 პროცენტის დარიცხვა წარმოებს კრედიტის გაცემის მომდევნო დღიდან ვადის ამოწურვამდე ყოველდღიური დარიცხვის პრინციპით, წელიწადში 365 დღეზე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღეზე გაანგარიშებით.
4.3 წინამდებარე ხელშეკრულების თანდართულ გრაფიკში მოცემულია სესხის დასაფარად შენატანების ოდენობა თანხობრივად, შენატანების სიხშირე, შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები და საერთო რაოდენობა, ასევე კრედიტის დასაფარად საჭირო სხვა დეტალური მონაცემები.
4.4 იმ შემთხვევაში თუ კომპანიის ანგარიშზე არ ჩაირიცხება თანხა გრაფიკით დადგენილ ვადებში, კომპანია უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული გადაუხდელი თანხის 3.2.12. პუნქტში მითითებული ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. კლიენტის მიერ წინსწრებით(გრაფიკით დადგენილ ვადებზე ადრე) სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას პირგასამტეხლო ხელშეკრულების 3.2.13. პუნქტში მითითებული ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით დადგენილი სხვა გადასახდელების გადახდისგან.
4.5 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.13 პუნქტით გათვალისწინებული წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ დაირიცხება, თუ: ა) ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები დრო; ბ) კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება კომპანიის მიერ გაცემული კრედიტით; გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ფინანსური ორგანიზაციის მოთხოვნით; დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე კლიენტის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით; თუ სესხი იფარება სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული თანხიდან.
4.6 იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს აქვს რამოდენიმე შესასრულებელი საკრედიტო ვალდებულება გამსესხებლის მიმართ და გადახდისას არ დააფიქსირებს პრიორიტეტულად რომელიმე ვალდებულების ნებას. გამსესხებელს ენიჭება უფლებამოსილება ცალმხრივად განსაზღვროს მსესხებლის ვალდებულებების შესრულების რიგითობა, ასევე ის, თუ რა ოდენობით და რომელ კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულება დაიფაროს პრიორიტეტულად მსესხებლის მიერ ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდილი თანხიდან. პრიორიტეტულად ვალდებულების დაფარვის ნება გამოხატული უნდა იქნეს გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში წერილობითი განცხადებით თანხის ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების დღეს
4.7 გამონაკლისის სახით, უაქცეპტო წესით, ხელშეკრულების 4.8 პუნქტში მითითებული გარემოებ(ებ)ის არსებობისას და წესით დასაშვებია ხელშეკრულების პირობების ცვლილება კომპანიის მხრიდან ცალმხრივად, კლიენტისათვის 2 თვით ადრე წინასწარი შეტყობინების გზით, რომელიც უნდა გაეგზავნოს წერილობით ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მისამართზე ან ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე.
4.8 ქვეყანაში (იგულისხმება საქართველო) მიმდინარე ეკონომიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებიდან გამომდინარე (აღნიშნული მოიცავს როგორც ფინანსურ ანალიზებს და გარემოებებს, ასევე საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტის გამოცემას და სხვა), რასაც ერთპიროვნულად აფასებს კომპანია, "თუ ცვლილება განპირობებულია ინფლაციის ზრდით, ეკონომიკური ვარდნით და/ან საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით 5 პროცენტული პუნქტზე მეტით." ეს უკანასკნელი უფლებამოსილია კლიენტისთვის საუარესოდ, ცალმხრივად შეცვალოს შემადგენელი საკრედიტო და/ან ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. აღნიშნულის შესახებ კომპანია წერილობით ატყობინებს კლიენტს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.
4.9 კომპანია კლიენტს ფულად სახსრებს გადასცემს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მხარის მიერ წარმოდგენილ რეკვიზიტებზე.

4.10 შპს "კრედიტორი" მის: ქ.თბილისი, მიკვევიჩის 6 , ბინა } შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები)._

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ."

5. მხარეთა დამატებითი უფლება-მოვალეობები, შეტყობინებები პრეტენზი(ებ)ის მიღება/განხილვა

5.1 კომპანია ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეებისათვის (თავდები, იპოთეკა/გირავნობის საგნის მესაკუთრე), ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი გახადოს კლიენტთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი და ამავე ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია კლიენტთან. აღნიშნულის თაობაზე კლიენტი ადასტურებს, რომ წინასწარ იქნა ინფორმირებული კომპანიის მხრიდან.

5.2 კლიენტი ვალდებულებია მისი ნებისმიერი რეკვიზიტის ცლილებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს კომპანიას წერილობითი ფორმით. წინაარმდეგ შემთხვევაში კომპანია არ არის პასუხისმგებელი მის ხელთარსებულ რეკვიზიტებზე გაგაზვნილი შეტყობინებების სამართლებრივ შედეგებზე. კომპანიისთვის ბოლო ცნობილ რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინებები ჩაითვლება მსესხებლისთვის/დამგირავბლისთვის ჩაბარებულად.

5.3 მსესხებელი უფლებამოსილია კომპანიის მისამართით დააფიქსიროს ნებისმიერი ტიპის უკმაყოფილება და დაუთანხმებლობა ზეპირი ან წერილობითი განცხადების ფორმით, რაც მიიჩნევა პრეტენზიად.
5.4 მსესხებლის მხრიდან პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში კომპანია ვალდებულია შესთავაზოს მას პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმა. მსესხებელს პრეტენზიის ელექტრონული ფორმით დაფიქსირების შესაძლებლობა აქვს მისოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@creditor.ge
5.5 მისო ვალდებულია მსესხებლის მხრიდან სტანდარტული წერილობითი ან ელეექტორნული ფორმით პრეტენზიის წარდგენისთანავე, დაუდასტუროს მას მიღება იმავე ფორმით, რა ფორმითაც წარედგინა პრეტენზია მისოს.
5.6 მისო ვალდებულია მსესხებლის მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზია განიხილოს არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში და პრეტენზიის განხილვის შედეგები, პრეტენზიის გადაწყვეტის მექანიზმის მითითებით, აცნობოს კლიენტს პრეტენზიის დაფიქსირების იდენტური ფორმით.
5.7 მსესხებლის მხრიდან პრეტენზიის მიღებისა და განხილვის ვალდებულებები მისოზე არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ:
1. იმავე მსესხებლის იგივე შინაარსის პრეტენზია ერთხელ უკვე განხილულია და ადგილი არ აქვს დამატებით მნიშვნელოვან ფაქტებსა და გარემოებებს მასში მოყვანილ საკითხთან დაკავშირებით; 2. მსესხებლის პრეტენზია ეხება მისოსგან საკრედიტო პროდუქტის მიწოდებაზე უარის თქმას; 3. პრეტენზიის მიზანს წარმოადგენს შეფერხებები ან უარი მომსახურების გაწევაზე, რომელიც განპირობებულია საკანონმდებლო შეზღუდვებით;
5.8 მისოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სადაც მსესხებლის მხრიდან შესაძლებელია პრეტენზიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენა, არის მისოს უშუალო ხელმძღვანელი - დირექტორი.
5.9 წინამდებარე თავსართის 3.5 პუნქტში მითითებული სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელია კლიენტისათვის პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და მათ მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვის ვადების დაცვაზე.
5.10 კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვა, ამავე ხელშეკრულების 3.2.13 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდით.
5.11 კომპანია უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართით (კრედიტის დაფარვის გრაფიკი) განსაზღვრულ ვადაში კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მსესხებლისა და არსებობის შემთხვევაში სესხის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებების მხარეების მიმართ შესაბამისი სამართალწარმოების დაწყების მეშვეობით ყადაღა დაადოს მათ მიმდინარე საბანკო ანგარიშებს, საკუთრებაში არსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას და მოითხოვოს ამ ქონების იძულებითი წესით რეალიზაცია.

5.12 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან და საქართველოს კანონმდებლობოდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება (მოთხოვნა) და გაფრთხილება (შემდგომში-გზავნილი) ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა წერილობითი ფორმით ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით ან/და ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მისამართზე გაგზავნით, ასევე შესაძლებელია ტელეფონის ნომრებზე შესაბამისი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარისათვის ელ/ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება კომპანიის მიერ მისი გაგზავნის მომენტიდან, ხოლო წერილობით მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, ფოსტის მიერ შესაბამისი სტატუსის მინიჭებისას. ტელეფონის ნომერზე გაგაზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ნომერზე მისი გაგზავნის მომენტიდან. წერილობითი ფორმით გაგზავნილი შეტყობინების ჩაუბარებლობის შემთხვევებში მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლები.
ა) კომპანიის ელექტრონულ მისამართზე info@creditor.ge , ხოლო კლიენტისან/და მისი წარმომადგენლისათვის XXXXX ელექტრონულ მისამართზე გაგზავნით.
ბ) მხარეთა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომრებზე შესაბამისი მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.
5.13 მხარეები გზავნილის ჩაბარების 5.12 პუნქტით განსაზღვრული ფორმებიდან ირჩევენ საკუთარი შეხედულებისამებრ.

6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:
6.1.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
6.1.2 რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვანი შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;
6.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 და მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას;
6.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში:
6.2.1 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება (ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით) კომპანიის წინაშე;
6.2.2 კომპანია გათავისუფლდება ამ ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებებისაგან კლიენტის წინაშე.

7. დასკვნითი დებულებები

7.1 ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) და სესხის დაფარვის გრაფიკი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებს და იმავდროულად მის ერთიან და განუყოფელ ნაწილებს.
7.2 ხელშეკრულება დადებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და თითოეული ინახება მხარეებთან.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მისო „კრედიტორი“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: შპს მისო „კრედიტორი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

კომპანიის სახელით	კლიენტის სახელით
---	---

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები (თავსართი)

საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება

თბილისი **თარიღი.XX.XX.XXX**

1. სესხის საპროცენტო განაკვეთი

- სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი: %;
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %
- ფინანსურ ხარჯებთან მიმართებაში არსებული დაშვებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში: ა) სესხის თანხის გაცემა ხდება სრულად, ერთჯერადად თანხის მსესხებლისთვის გადაცემის/გადარიცხვის მეშვეობით; ბ) პროცენტი დაირიცხება სესხის გაცემის მომდევნო დღიდან სესხის ვადის ამოწურვამდე, ყოველდღიური დარიცხვის საფუძველზე; გ) დაიშვება. რომ წელიწადში არის 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწადში 366 დღე.

2. ფინანსური ხარჯები

- შენატანის ოდენობა (ძირითადი თანხა+პროცენტი): ლარი.
- სესხის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (ფინანსური მომსახურების საკომისიო): ლარი
- ადმინისტრაციულ ორგანოში გადასახდელი (იპოთეკის რეგისტრაციის / რეგისტრაციის მოხნის საფასური): ლარი.
- სესხის მთლიანი თანხის ოდენობა: ლარი
- სესხის ვადა: თვე
- სესხის წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება დარჩენილი ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად. შეადგენს 0% ხელშეკრულების დასრულებამდე 6 თვემდე ვადის შემთხვევაში, 0,5% -ს თუ დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა, 1%-ს თუ დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა და 2% -ს 24 თვეზე მეტი ვადის არსებობის შემთხვევაში.
- ვადაგადაცილების შემთხვევაში პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე:დარჩენილი ძირითადი თანხის 0.2% ყოველდღიურად (არა უმეტეს 0.27%).
- ხელშეკრულების მნიშვნელობანი პირობების ცალმხირივი ცვლილებების შესახებ მსესხებლის ინფორმირება მოხდება არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ან ელექტრონული ფოსტით.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@creditor.ge

გაეცანით ფინანსური პროდუქტის მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 0322406406.

გამსესხებელი	მსესხებელი
---	---